საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

N 12/10/08 2012 წლის 12 ოქტომბერი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს ,,აგრომეტის" 100%-იანი წილის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 15 თებერვლის N15/02/03 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს ,,აგრომეტის" 100%-იანი წილის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 15 თებერვლის N15/02/03 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული

შპს „აგრომეტის“ 100%-იანი წილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 4 150 000 (ოთხი მილიონ ას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად საკუთრებაში გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს.“;

ბ) განკარგულების მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვის განმავლობაში;“.

ბ.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შპს „აგრომეტის“ საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე მდებარე 599438 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.72.14.006.538) 8 000 000 (რვა მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 22 თვის განმავლობაში;“;

ბ.გ) „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

გ) განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ვალდებულია ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს განსახორციელებელი ინვესტიციის არანაკლებ 5%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც

საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს ოთხი თვით.“.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი